



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალთესლი

ახალთესლი, საგაზაფხულო ქერის ქართული ჯიშ-პოპულაცია. თავთავი ორმწკრივიანი, მონალისფრო-ყვითელი, საშ. სიგრძისა და სიმკვრივისაა. ფხა უმეტესად ნაზი, გრძელი და დაკბილულია, მარცვალი-ელიფსური, კილშებრდილი. ყვავილის კიდეები გლუვი, იშვიათად დანაოჭებულია, თანდათანობით გადადის ფხაში. 1000 მარცვლის მასა 34 - 45 გ. ა-ის ნათესებს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს აღმ. საქართველოში და დას. საქართვე. ზოგიერთ რ-ნში. ა-ს იყენებენ საკვებად და ლუდის წარმოებაში.
